წელიწადი I. | № 11. | ფასი 7 კაპ.

# კოოპერაცია

ყოველ-კვირეული სახალხო ჟურნალი. — კვირა 4 სექტემბერი. 1911 წ.

**შინაარსი:** 1. მოწინავე წერილი (ცხოვრების გაძვირება და კოოპერაცია), 2. ახალი ქვეყანა,—ოუენის მოხსენებიდან, 3. ანკეტა: პრივატ-დოცენტის,—ი. მ. კულიშერის წერილი, 4. კოოპერაციის ახალი ფორმა,—T-ისა, 5. სასოფლო სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში,—ვ. თ. ტოტომიანცისა, 6. დავით რიკარდო,—თ. ღლონტისა, 7. მასალები საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელოსნობის შესასწავლათ,—ზ. ჭიჭინაძისა. 8. კოოპერაცია საზღვარ გარეთ (კოოპერატიული პანსიონი შვეიცარიის მთებში,—ვ. ტოტომიანცისა, 9. კოოპერაცია ჩვენში, 10. კოოპერაცია რუსეთში, 11. მიმდინარე ცხოვრება, 12. წერილი ბზვანიდან,—ბზვანელისა, 13. ნარევი.

## აგენტების საყურადღებოთ.

ვთხოვთ აგენტებს და კოოპერატივებს გამართონ ხელის მოწერა ჟურნალ «კოოპერაცია»-ზე. წლიურათ 2 მან. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 50 კ., ერთი თვით 28 კ. (თვიურათ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ კოოპერატივების წევრებისაგან).

ვთხოვთ მათვე რაც შეიძლება ადრე გაასწორონ გასული თვეების ანგარიშები.

მე-12-ე ნომრიდან აგენტებს გაეგზავნება იმდენი ცალი ჟურნალისა, რამდენიც ყავთ მათ ხელის მომწერლები.

ხელის-მოწერა შეიძლება აგრეთვე ჟურნალ „კოოპერაციის" რედაქციაში და კ-რა „იმერეთში"

ხელის-მომწერლები მიიღებენ ჟურნალს აგენტების საშუალებით.

ხელ-მოსაწერი ფული და ყოველივე ანგარიშები უნდა გამოიგზავნოს რედაქციის ადრესზე: Кутаисъ, редакція журн. „КООПЕРАЦІЯ".

**განცხადება.**

დღეს, პირველ საათის ნახევარზე ქ. ქუთაისის თეატრში,

**იასონ გაბილაია**

**წაიკითხავს სახალხო ლექციას**

**კოოპერაციის მნიშვნელობაზე.**

ლექციას დაერთობა **69 ბუნდოვანი სურათი** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებიდან (სურათების სია და ლექციის პროგრამა მე-11-ე გვ.) ბილეთების ფასი ორ შაურიდან ათ შაურამდე. ბილეთები იყიდება ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში" და თეატრის კასაში.

ადმინისტრატორი პლ. ლეჟავა.

30 2 3 6 352

## ქუთაისი, 4 სექტემბერი.

**ცხოვრების გაძვირება და კოოპერაცია.** როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნეში ძლიერ განვითარდა ტეხნიკა და მასთან ერთად მრეწველობაც—პირველად ინგლისში, ხოლო შემდეგ სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც. კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია ქალაქის მცხოვრებთა გამრავლება, სოფლის ანგარიშით: მიწის მუშების რიცხვს თანდათან აკლდებოდა. მრეწველობის განვითარებასთან ერთად თანდათან მატულობდა სოფლის ნაწარმოების ფასები, ამ შთაბეჭდილების გავლენით კლასიკური ეკონომისტები, მალტუსი და რიკარდო, მივიდნენ იმ დასკვნაზე, რომ „იმ დროს, როდესაც ქალაქის ნაწარმოების ფასები თანდათან კლებულობს, სოფლის ნაწარმოების ფასები თანდათან მატულობს‘‘-ო.

მართლაც, ეჭვს გარეშეა, რომ სოფლის ნაწარმოების ფასები თანდათან მატულობენ, თუმცა ამის მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. მალტუსსა, რიკარდოსა და პოლიტიკურ ეკონომიის კლასიკურ სკოლის სხვა წარმომადგენლებს ეგონათ, რომ სოფლის ნაწარმოების გაძვირებას იწვევდა მიწის დასამუშავებელ საშვალებათა გაუმჯობესობა.

ჩვენ ბრ ვეკუთნით ამ „კანონის“ მომხრეთა რიცხვს, ვინაიდან, ჩვენის აზრით, სოფლის ნაწარმოების გაძვირების მიზეზები სულ სხვაა. ამ საკითხს ჩვენ დაუბრუნდებით ახლო მომავალში და მაშინ ვეცდებით აღვნუსხოთ ამის ნამდვილი მიზეზები, დღეს კი შევეხებით საქონლის გაძვირების ზოგიერთ ფაკტორებს.

სოფლის ნაწარმოებზე ფასების აწევაში უმთავრეს როლს ჩარჩ-ვაჭრები თამაშობენ. მაგ., ამერიკაში, სადაც ყიდვა გაყიდვის საქმე, ყოველ-შემთხვევაში, უკეთესად არის მოწესრიგებული, ვინემ ჩვენში, ფერმერები რძეზე ძლივს ღებულობენ თურმე 43⁰/₀ იმისას, რასაც იხდიან მომხმარებლები. ამნაირათვეა დაყენებული შინაურ ფრინველებისა და კვერცხის, ბოსტნეულობისა და ხილის გაყიდვის საქმე: შინაურ ფრინველზე ღებულობენ 50⁰/₀, კომბოსტოზე—48⁰/₀, ხახვზე—28⁰/₀, ფორთოხლებზე—20⁰/₀ და სხვ. სანოვაგეს ძლიერ აძვირებს წვრილი მედუქნეები, ის გარემოება, რომ საქონელს მომხმარებელი თითქმის მეათე ხელიდან ღებულობს. ისეთ პირველ მოთხოვნილების საგანზე, როგორც არის, მაგ., ყავა, ჩაი და სხვა, ძლიერ ცუდათ მოქმედობს ვაჭრობის დაქუცმაცება. ჩაისა და ყავას გასაყიდი ფასი 60—77⁰/₀ მეტია ჩვეულეირივათ იმაზე, რაც ის ღირს ნამდვილათ! *) სწორედ ამის გამო იყო, რომ ამერიკის მიწათმოქმედების მინისტრმა, ბ. ვილსონმა, აღნიშნა პარლამენტისადმი თავის მოხსენებაში, რომ „ცხოვრების გაძვირების საკითხი, ეს იგივე მომხმარებელ საზოგადოებების დაარსების საკითხი“-ო. *) უნდა გვახსოვდეს ამასთან ისიც, რომ, კოოპერატივი აკავშირებს რა მომხმარებლებს, აძლიერებს მშრომელთა კლასს, ცვლის ძალთა განწყობილებას ამ უკანასკნელის სასარგებლოთ და ამნაირათ ამზადებს ნიადაგს მუნიციპალიტეტზე და სახელმწიფოზე გავლენის მოსახდენათ, რომ ამ უკანასკნელებმა იღონონ რამე „ცხოვრების გაძვირების“ წინააღმდეგ.

აი რატომ არ შეგვიძლია ჩვენ არ ვუსურვოთ ქალაქის მცხოვრებთ და განსაკუთრებით დემოკრატიულ ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ა, გ ა მ ო ღ ვ ი ძ ე ბ ა ლეტარგიულ ძილისგან, რომელიც იმათ ასე დაეჩვია ამ უკანასკნელ ხანებში, და მონაწილეობის მიღება კოოპერაციის საქმეში, რაც გინდ წვრილმანათ და „უმნიშვნელოთ“ ეჩვენებოდეს ის მათ...

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაგარ, ღრმათ ფეხმოკიდებულ ეკონომიურ ორგანიზაციის უმისოთ შეუძლებელია საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობა.

---

## ახალი ქვეყანა.

### რ. ოუენისა.

„დღევანდელი სიღატაკე არის შედეგი მუშის ხელფასის გაიაფებისა; ეს უკანასკნელი გარემოება გამოწვეულია მაშინის ძალის გამოყენებით ევროპისა და ამერიკის მანუფაკტურაში, განსაკუთრებით ინგლისში, სადაც ეს ცვლილება მალე იქმნა განმტკიცებული არკრაიტისა და უატის**) აღმოჩენის გამო. უმუშევრობა და ხალხის სიღატაკე წარმოსდგება საწარმოვო ძალების განვითარების გამო. მაშინით წარმოების განვითარება აიაფებს მუშის ხელ-ფასს. უმუშევრობა, რომლითაც ასე იტანჯება მშრომელი კლასი, შედეგია იმის, რომ წარმოება არ არის კარგათ მოწყობილი. მთელი ქვეყნის ბაზრები დამოკიდებულია მუშათა კლასის ხელ-ფასიდან, ამ უკანასკნელის მყიდველი ძალა უდრის იმ ხელ-ფასს, რომელსაც ისინი ღებულობენ.

მიწის მუშები, სოფლის მეურნეები მეტ სიმდიდრეს შექმნიან, თუ მათ მიეცემათ საჭირო მიწა-წყალი...

---

*) ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ამერიკაზე, რაც შეეხება ჩვენს მხარეს,—რა თქმა უნდა, აქ საქმე კიდევ უარესათაა დაყენებული.

*) იხ. „Союзъ потребителей“ № 48, 1910 г. დ. „Вѣстникъ Кооперацiи“ № 1, 1911 г.

**) სართავი მანქანის დაზგის გამომგონებელნი.

დიან, უნდა მიეცეს მიწის მუშებს მიწა-წყალი, რომ საკმარისათ მოიყვანონ მათ ცხოვრებისთვის საჭირო სურათები და ყველაფერი, რაც საჭიროა, როგორც მათი არსებობისათვის, ისე სხვების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებათ.

თუ ვიმეცადინებთ და მივიღებთ ყოველივე ზომას ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, ჩვენ ადგილათ განვახორციელებთ მომავლის იდეალებს.

**მომავალი ოუენის წარმოდგენით** *). თქვენ წინ იშლება სურათი საზოგადო შენობისა. ცენტრალურ შენობაში მოთავსებულია საზოგადო სამზარეულო, სასადილოები და ყოველ ნაირი მორთულებანი, რომ საჭმელი გაიაფდეს და საზრდოებს უადვილდეს. ამ ცენტრალურ შენობის მარჯვნივ აშენებულია მეორე შენობა, რომლის პირველ სართულში მოთავსებულია საბავშო ბაღი, ხოლო მეორეში სამკითხველო. მარცხნივ მდებარე შენობის პირველ სართულში მოთავსებულია სკოლა, მოზრდილთათვის და საკრებო დარბაზი, ხოლო ზემო სართულში წიგნთ-საცავ-სამკითხველო და დარბაზი (გასართობი, მოზრდილებისთვის) ოთხ-კუთხიან ეზოს (სადაც მოთავსებულია ეს შენობები) სამი მხარე დაკავებულია ცოლშვილიან მუშების სადგომებით. თითეულ სადგომში ოთხ-ოთხი ოთახია. მეოთხე მხრივ აშენებულ სახლში მოთავსებულია საერთო ღამის გასათევი ბავშებისთვის და იმ ოჯახისთვის, რომელთაც ყავთ სამ შვილზე მეტი. აქ ათევენ ღამეს საზოგადოთ ყველა ბავშები) სამი წლის ზევით. ამ მეოთხე შენობის ცენტრში მოთავსებულია ზედამხედველ-აღმზრდელების ოთახები, გვერდებში კი საავათმყოფო და სასტუმრო ოთახები. ყველა ამ შენობებს გარს არტყია ბაღები, რომლის იქით იწყება სახელოსნოები. კიდევ იქით რამოდენიმე ფერმები, სადაც ხდიან ლუდს, აცხობენ პურს და სხვა. ყველა ამების გარშემო თქვენ ხედავთ მშვენიერ მიდამოებს, საბალახო ადგილებით და აყვავებულ ტყე-ველით.

აუწერელია ის სიმდიდრე, რომელიც მოელის კაცობრიობას მიზნის შესაფერ მუშაობით, წარმოების მოწესრიგებით. პიროვნება ამაღლდება და თანამედროვე მუშასთან შედარებით პირდაპირ გმირათ იქცევა. არ იქნებიან ეს ცოცხალი მაშინები, რომლებიც მხოლოთ სხვის მონამორჩილები არიან და ასრულებენ ამა თუ იმ წარმოების მოთხოვნილებას ან აკეთებენ ისეთ ნივთებს. რომლების შესახებ შეგვიძლია ვისურვოთ, რომ კაცობრიობა უმათოთ ახერხებდეს ცხოვრებას... ნაცვლათ ქინძისთავის მლესველის, ნემსის ყურის გამხვრეტის და უაზრო და უსიცოცხლო სოფლის მუშისა აღორძინდება მუშათა კლასი, შეგნებული, გათვითცნობიერებული, ზნეობითა და გრძნობით სავსე, გონებრივათ და ეკონომიურათ ამაღლებული უკანასკნელი მუშაც უფრო მაღლა იდგომება, ვინემ თანამედროვე და ცხოვრებს მოჭმული კლასების უკეთესი წარმომადგენლები. *).

*) სხვათა შორის ეს სურათიც დაერთოა ლექციას კოოპერაციის მნიშვნელობაზე. ი. გ.

*) „ლენარკის საგრაფოზე მოხსენება", 1820.

---

# ანკეტა*).

(გაგრძელება, იხ. „კოოპ." № 1—10-მდე)

პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის,
**ი. მ. კულიშერის წერილი.**

მე სრულებით ვეთანხმები იმათ, ვისაც სწამს კოოპერაციების მომავალი, რომ ის VXII მეოცე საუკუნეში უნდა გახდეს მეურნობრივ ცხოვრების უუმნიშვნელოვანეს ფაკტორათ. რუსეთში, სადაც გლეხის მეურნეობას, ერთის მხრივ, და ხელოსნობას, მეორე მხრივ, აქვს მეტი მნიშვნელობა, ვინემ რომელიმე სხვა ქვეყანაში, კოოპერაციას შეუძლია და უნდა დაიკავოს თვალსაჩინო ადგილი. მან უნდა განავითაროს და ააყვავოს ნაციონალური მეურნეობა და ხელი შეუწყოს ხელოსნობას და წვრილ წარმოებას მსხვილ წარმოებასთან ბრძოლაში. მაგრამ საწარმოვო კოოპერაცია, რომელიც აერთებს წარმოების ყველა პროცესებს (მერძევეთა და სხვა კოოპერაციები მე არ მიმაჩნია საწარმოვო კოოპერატივებათ, ვინაიდან აქ არ ღებულობენ მონაწილეობას ყველა წევრები), აშკარაა ვერ იქონიებს გამარჯვების იმედს, რადგანაც ის წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც აუქმებს კოოპერატორების კერძო მეურნეობას, მაშინ როდესაც კოოპერიციის დანიშნულება მდგომარეობის უმთავრესათ ამ უკანასკნელის ხელის შეწყობაში.

სამწუხაროთ, ჩვენში კოოპერაციას ელობება მრავალი დაბრკოლება. ყველაზე უფრო აფერხებს მას ის გარემოება, რომ მისი დაწყება არ შეიძლება განცხადებითი წესით (ЯВОЧНЫМЪ ПОРЯДКОМЪ). 1904 წ. წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა

*) ამ ანკეტის მიზანია იმათი შეხედულების გამორკვევა კოოპერაციის მნიშვნელობაზე, რომელთაც არასოდეს ან, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ ხანებში მაინც არ გამოუთქვამთ თავიანთი შეხედულება კოოპერაციის პრინციპიალურ საკითხებზე.

„კოოპერაციის" რედაქციას თავის მხრითაც დაგზავნილი აქვს ჩვენი სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგინლების და საერთოთ საზოგადო მოღვაწეების სახელზე ანკეტა კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ. რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს მათ წერილებს, შემდეგ კი გამოსთქვამს თავის შეხედულებასაც.

**რედ.**

შესახებ გამომუშავებულ დებულების ძალით ად-გილობრივ მთავრობას უფლება აქვს არ დართოს ნება საკრედიტო ამხანაგობის გახსნისთვის, თუ აღებულ ადგილში არსებობს საკმარისი რიცხვი ასეთი დაწესებულებათა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნებართვის მიცემის დროს ეროვნება და სხვა. კანონის ძალით ადგილობრივი, საგუბერნიო კომიტეტმა უნდა გააგებიოს წვრილ კრედიტის საქმეთა გამგეობას, როგორც უარყოფა, ისე დაკმაყოფილება ამა თუ იმ შუამდგომლობისა.

მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი კანტროლს არ ძალუძს ბოროტ—მოქმედების მოსპობა. არ იძლევიან ნებართვას ისეთ „მიზეზების" გამო, რომელნიც ყოვლად უსაფუძვლონი არიან. ასეთ მდგომარებიდან გამოსასვლელი გზა მხოლოთ ერთია—უნდა წაერთვას ადმინისტრაციას ზემო აღნიშნული უფლება და შემოღებულ იქმნას გამოცხადებითი წესი კოოპერაციების დაარსებისა, თუ ამ უკანასკნელების წესდება არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონდებულებებს.

ჩემის აზრით, კოოპერაციის განვითარება შესაძლოა მხოლოთ ასეთ პირობებში.

**ი. მ. კულიშერი.**

---

## ახალი ფორმა კოოპერატიული თვითდახმარებისა.

მუშა, რომელიც ცხოვრობს თავის შრომით და რომელსაც, გარდა თავის მაზოლიან ხელებისა, არაფერი არ აბადია, ყოველივე საშუალებას მოკლებულია შავი დღისთვის.

მცირედი ხელ-ფასით ის ძლივს იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილობებს და თუ რამეს მორჩენას ახერხებს, ისიც შესაფერ ორგანიზაციის უქონლობის გამო უსარგებლოთ ეკარგება.

ამიტომ მაშინ, როდესაც მუშას, ანუ რომელიმე წევრს მისი ოჯახისას ეწვევა ისეთი რამ, რომელიც, ასე რომ ვსთქვათ, არ შედის მის ხარჯთ-აღრიცხვაში—ავათმყოფობა, სიკვდილი,— სიბერე და სხვა—ის ვარდება უმწეო მდგომარეობაში. ხშირათ ეს გარემოება მიზეზათ ხდება იმის, რომ ის ეშობა დაბლა და სამარცხვინო საქმეებს ჩადის.

მთლათ მოსპობა ასეთ მდგომარეობისა თანამედროვე მეურნეობრივ წყობილებაში შეუძლებელია, ვინაიდან ის მისი თანამგზავრია და უნდა მოისპოს მასთან ერთათ.

მაგრამ ამ უბედურების შემცირება შესაძლოა თანამედროვე პირობებშიაც.

ჩვენ ვიცით, მაგალითათ, რომ პროფესიონალური კავშირები დახმარებას უწევენ თავის წევრებს სხვადასხვა უბედურების დროს. ამ მიზნისთვის აარსებენ სპეციალურ კასებს და დამხმარებელ საზოგადოებებს. ზოგიერთ სახელმწიფოებში შემოღებულია, ამის გარდა, ეგრეთ წოდებული სახელმწიფო დაზღვევა და სხვა.

მაგრამ ყველა ეს დაწესებულები ვერ ასრულებენ სავსებით თავის დანიშნულებას. საჭიროა დამატებითი დაზღვევა.

ამ დამატებითი დაზღვევის აუცილებლობის ნიადაგზე აღორძინდენ კერძო დამზღვევი ამხანაგობები, სადაც მსურველთ შეუძლიათ თავის დაზღვევა, თუ შესძლებენ სავალდებულო გადასახადის შეტანას. ეს ამხანაგობები, რა თქმა უნდა, თავის ჯიბის ინტერესს უფრო ემსახურებიან, ვინემ დაზღვავებულებისას. ამის გამო ისინი ტყავს აძრობენ იმათ, ვინც ჩაუარდებათ თავის კლანჭებში, განსაკუთრებით კი მუშებს, რომლებიც თავის უზრუნველ ყოფლობის გამო იძულებულნი ხდებიან მიმართონ მათ.

დიდათ გავრცელდენ ასეთი „სახალხო-დამზღვევი" საზოგადოებები გერმანიაში. უკანასკნელ ცნობით გერმანიის კერძო დამზღვევ საზოგადოებებს გაუციათ იქ 6,825,275 პოლისები 1345 მილიონ მარკებათ (მარკა—48 კაპ.)

განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ისინი ტყავს აძრობენ თავის მსხვერპლებს? ტყუილათ ხომ არ ღებულობენ ისინი გასაგიჟებელ მოგებას და დიდ სარგებლობას აძლევენ თავიანთ წევრებს.

პირველათ ყოვლისა იქ დიდია შესატანი ფული, თუმცა ეს აშკარათ არ სჩანს, ვინაიდან ფული შეაქვთ ნაწილ-ნაწილათ, კვირაში ერთხელ ან თვეში ორჯერ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია, დაზღვევის პირობები მძიმე უღელს წარმოადგენს დაზღვეულთათვის. საკმარისია, მაგ, დააგვიანო ხვედრი ფულის შეტანა, რომ ყველა შეტანილი ფულები დაგეკარგოს. რადგანაც მუშები მცირე ხელ-ფასისა და უმუშევრობის გამო ვერ ახერხებენ ხშირათ დროზე ფულის შეტანას, ამიტომ აშკარაა, თუ რამდენი ფული იკარგება მუშის ისედაც პრტყელ ჯიბიდან.

მაგრამ გერმანიის შეკავშირებულ მუშებს არ შეეძლოთ შერიგებოდენ ასეთ მდგომარეობას და ამას წინეთ თავის პროფესიონალურ და საკოოპერაციო ორგანიზაციებთან ერთათ ისინი შეუდგენ

მასთან ბრძოლას: პროფესიონალურ კავშირების გენერალურმა კომისიამ და მომხმარებელ საზოგადოებათა კავრირმა დაადგინეს: გაუქმდეს მუშების დაზღვევა კერძო კომპანიებში და მოეწყოს ეს საქმე კოოპერაციის საფუძვლებზე. ახალი ორგანიზაცია ატარებდეს იქნება ცოტა გრძელ სახელს: „პროფესიონალურ-კოპერატიული დამხმარებელი კავშირი: „ზრუნვა ხალხზე“.

ვინც ცოტათ მაინც იცნობს გერმანელ მუშების მიერ შექმნილს მძლავრსა და მდიდარ პროფესიონალურ კავშირებს და კოოპერატივებს, იმას ეჭვიც არ შეეპარება იმაში, რომ ეს ახალი ორგანიზაცია მალე იქნება გატარებული ცხოვრებაში და აუცილებლათ გამოისხამს მოსალოდნელ ნაყოფს.

ამნაირათ, ამ ახალ ორგანიზაციის მაგალითიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ჩქარა შეიძლება გავსწიოთ წინ და შევიკრათ სხვადასხვა დარგებში შეკავშირებულ თვითდახმარებისა და თვითმოქმედების საშოვალებით. T.

## სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში.

(გაგძელება, იხ. „კოოპერაცია“ № 10)

რაც შეეხება სინდიკატების მეურნეობრივ მოღვაწეობას, ეს უკანასკნელი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეერთებულის ძალით ყიდულობენ ყოველივე საჭირო საგნებს. ამისათვის სინდიკატები აარსებენ ცალკე ამხანაგობებს, თუ მოთხოვნილება ღებულობს ფართე ხასიათს. მერკანტილურ სისტემის გაუქმებას მოწმობს ის გარემოება, რომ ისინი არამც თუ არ ანაწილებენ წმინდა მოგებას თავიანთ წევრებს შორის, არამედ სტოვებენ მას გასაძლიერებლათ სათადარიგო ფონდისა, რომელიც წარმოადგენს განუყოფელ ქონებას ყველა წევრებისას. ეს საშვალება მიდის სწავლა-განათლების საქმისთვის და დამხმარებელ დაწესებულების დასაარსებლათ.

სინდაკტები ღებულობენ განცხბდებებს თავის წევრებისგან ან წინასწარ ითვალისწინებენ დაახლოვებით, თუ რამდენი საქონლების შეძენაა საჭირო და შემდეგ ყიდულობენ ყველაფერს ბირდაპირ მექარხნეებისგან: მიუხედავათ იმისა, რომ მათ არა აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება და არც საჭირო საბუთები, — ფაბრიკანტები მათ უხსნიან ფართე კრედიტს, რადგანაც ამ სინდიკატებში მონაწილეობას ღებულობენ გავლენიანი პირები. სინდიკატები ყოველთვის პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მევალეების წინაშე, ხოლო თავის წევრებს საქონლებს აძლევენ ნაღდ ფულზე.

დიდი, სადეპარტამენტო სინდიკატები ყიდულობენ, იძენენ მხოლოთ სასოფლო-სამეურნეო საგნებს, ხოლო კომუნალური სინდიკატები აწვდიან თავიანთ წევრებს აგრეთვე ყოველნაირ სანოვაგეს და ოჯახში მოსახმარებელ საგნებს. ამ უკანასკნელებით სარგებლობენ თითქმის ნახევარზე მეტი სინდიკატების ყველა წევრებისა. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ცდილობენ ამ მოვალეობისთვის ცალკე კოოპერატივების დაარსებას, მიუხედავათ ამისა, ასეთი კოოპერატივების რიცხვი ჯერ ძლიერ მცირეა: 30 დიდი კოოპერატივი და 100-დე პატარა. სიეზდმა დაადგინა ხელი შეუწყონ მომხმარებელ კოოპერატივების დაარსებას.

სამხრეთ საფრანგეთში ძლიერ გავრცელებულია ბოსტნეულობისა და ყვავილების კულტურა, რის გამო ოდესღა ეს ძალზე მიქანცული მხარე ძლიერ მოღონიერებულია ახლა ეკონომიურათ. როდესაც ამ კუთხის მცხოვრებლებმა იგრძნეს უცხოელების კონკურენცია, მეტოქეობა, მათ დაარსეს სინდიკატები, რომლებიც ისახავენ თავის მიზნათ თავიანთ წევრთა ნაწარმოების გასაღებას. ეს სინდიკატები სხვადასხვანაირია. არის სინდიკატები, რომლებიც პოულობენ ბაზარს ადგილობრივ ნაწარმოებისთვის, აწესრიგებენ ვაჭრობას და სხვა.

ასე, მაგ, სინდიკატის განყოფილება გუზონში (რონის დეპარტამენტი) აწყობს ადგილობრივ მებაღეების ბაღს ვაგზლის მახლობლათ და შემდეგ აგზავნის მას „ცენტრალურ კავშირის“ საშვალებით იქ, სადაც ის იყიდება. გაყიდვისთანავე თითეულ წევრისთვის იწერება ცალკე ანგარიში და ყველა ანგარიშები იგზავნება გუზონში ერთი კონვერტით. პარიზიდან კი სინდიკატს ყოველ დღე მოდის ტელეგრამები ფასების შესახებ. თუ ფასები არ არის მათთვის ხელსაყრელი, ისინი შეწყვეტენ საქონლის გზავნას.

ასეთივე ორგანიზაციებია მოწყობილი სხვა ადგილებში. ვილნეოს სინდიკატი ანვითარებს ღოს კულტურას. ხშირათ წააწყდებით თქვენ ისეთ შემთხვევას, რომ 1000—1500 ფრანკათ ნაყიდი მიწა ერთი წლის განმავლობაში გამოუყიდიათ გაუმჯობესებულ კულტურის მეოხებით.

მომტაში საუკეთესოთ მარწყვის გაყიდვის მოწესრიგების საქმეში დიდი შრომა მიუძღვის კოოპერაციის იდეით გატაცებულს ერთს ადამიანს, რომელმაც ორჯერ გაემგზავრა პარიზში თავის ხარჯით და დააწესებია რკინის გზის კომპანიას ისეთი ტარიფი მარწყვის გადასატანათ, რომ

სინდიკატებმა შესაძლოთ დაინახეს მარწყვის გაგზავნა ინგლისში. სინდიკატი გზავნის ახლა ინგლისში 34 ვაგონს, 1000 კილოგრამა მარწყვით თითოს.

გავეცნათ ახლა საქმის ტეხნიკურ მხარეს.

სინდიკატის წევრებს მიაქვთ საწყობიდან შესაფერი კალათები და ავსებენ მარწყვით. მარწყვს აბარებენ ისინი სინდიკატებს ვაგზალში. თითეულ კალათზე აწერია მომტანის სახელი და გვარი. როგორც ვაგონს გაავსებენ, მას აგზავნიან სინდიკატის მდივნის სახელით ლონდონში. მარწყვის გაყიდვის შემდეგ სინდიკატი ღებულობს ფულს და ანგარიშს, სადაც გამოყვანილია თითეულ წევრის ხვედრი ფული. მდივანი არიგებს ფულს იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი მოუტანია საქონელი. თითეულ წევრის ხვედრი ფულიდან ირიცხება გადატანის ხარჯები და საკომისიო ფული. ამნაირათ სინდიკატი არ ღებულობს თავის თავზე პასუხისგებლობის საქონლის გასაღებაზე.

მეორე, უფრო ნაკლები ჯგუფი სინდიკატებისა ამზადებს სხვადასხვა სანოვაგეს, ბაზარს პოულობს იმისთვის და შემოსავალს ანაწილებს წევრებს შორის ხარჯების გამოკლებით.

ასეთ სინდიკატთა რიცხვს ეკუთვნის ბიუკის (პროვანსშია) კაპარის (მცენარეა) გამყიდველი სინდიკატი და როკვერის სინდიკატი, რომელიც ამზადებს კონსერვებს გარგარისგან. კონსერვებს გზავნის სინდიკატი გასასყიდათ არამც თუ საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში, არამედ ინგლისში, გერმანიაში და რუსეთშიც.

მესამე ფორმას სინდიკატებისას წარმოადგენენ ისეთები, რომელნიც თავიანთ წრიდან აარსებენ კოოპერატივებს, რომლებიც თავის ხარჯზე ყიდულობენ სინდიკატის წევრებისგან მათ ნაწარმოებს, აძლევენ ბაზრის ფასს და წლის ბოლოს არიგებენ წევრებს შორის ნაწილს მოგებისას იმის და მიხედვით, თუ ვისგან რამდენი საქონელი უყიდიათ.

ასეთ მცირე რიცხვოვან სინდიკატების ფორმას ეკუთვნის ნანტის შერეული სინდიკატი, ის ყიდის ბოსტნეულობას და ხილს თავის წევრებისას განსაკუთრებულ კოოპერატივის საშვალებით. უკანასკნელის პაი ღირს 50 ფრანკი, ხოლო მთელი საპაიო კაპიტალი უდრის 15,000 ფრანკს (6 ათას მანეთამდე). კოოპერატივის გამგე იმყოფება ზედამხედველ საბჭოს მხედველობის ქვეშ, რომელსაც ირჩევენ სინდიკატების წევრები თავიანთ შორის. ყოველ ექვსი თვის წმინდა მოგებიდან რიცხავენ 10% საპაიო კაპიტალის გასადიდებლათ დანარჩენი კი ხმარდება სხვადასხვა კულტურულ ფონდისთვის და დივიდენდათ.

რომორონტენის სინდიკატი პირველათ ყიდიდა ლობიოს, ისპანახსა და კარტოფილს. თავისთვის ტოვებდა 20% და წევრები კი 25% მეტს ღებულობდენ იმაზე, რასაც კერძო ვაჭრებიდან. შემდეგ, კოოპერატივის მდივნის, გრაფ ბალერბის-მეცადინობით დაარსდა კოპერატივი, რომლის თითეული პაი ღირდა 200 ფრანკი. რომ სინდიკატის ღარიბ წევრებისთვისაც მიეცათ საშვალება შესულიყვნენ წევრათ ამ კოოპერატივში, დააწესეს პაის ნაწილ-ნაწილათ გადახდა და აგრეთვე მათ მიერ მოტანილ სანოვაგეზე ხვედრი ფულიდან ნაწილის გამორიცხვა. სინდიკატი აწვდის კოოპერატივს ყოველ ნაირ სანოვაგეს. აღებ-მიცემა აღემატება წლიურათ მილიონ ფრანკს.

ორანის სინდიკატმაც გამოყო თავის წრიდან ხილის გამსაღებელი კოოპერატივი. ხილს ყიდულობს კოოპერატივი სინდიკატის წევრებისგან და ასაღებს საზღვარ გარეთ თავის წარმომადგენლების საშვალებით. კოოპერატივის საქმე ძლიერ კარგათ მიდის.

გადატანის გაუმჯობესება და ტარიფის გაიაფება ისეთ საქონლებზე, რომლებიც ჩქარა ფუჭდებიან, განსაკუთრებით ხილზე. ინგლისის კოოპერატივებმა მოახერხეს ყინულიან ვაგონების შემოღებით. სამხრეთ საფრანგეთის სინდიკატების კავშირმა აღძრა სურვილი ერთ ჯგუფს საზოგადოებისას დაარსებია ლიონში აქციონ ერული საზოგადოება ყინულიან ვაგონების გასამრავლებლათ საქონლების ამ ვაგონებით გადატანა ღირს საშვალოთ 10% მეტი, ვინემ ჩვეულებრივ ვაგონებით.

დასახელებულ სინდიკატებს გარდა არსებობენ. მეღვინეთა სინდიკატები. მაგალითათ, ასეთ კოოპერატივს აქვს ზემო ბერჟესაკში (დორდონში) ვაგზალთან მახლობლათ ღვინის საწყობი და მარანი, სადაც ინახავენ ღვინოს. პარიზსა და სხვა ადგილებში ამხანაგობამ გახსნა თავისი განყოფილება ღვინოს გასასაღებლათ. ასეთი კოოპერატივები ებრძვიან ღვინოს „ფალსიფიკაციას“.

ყველაზე უფრო დიდ რიცხოვანია საფრანგეთში მერძევეთა ამხანაგობები ანუ არტელები. შარანტის დეპარტამენტში მერძევეთა კოოპერატივებმა დაარსეს კავშირი, სადაც ჩაეწერენ 100-მდე კოოპერატივები. მთელი ერბოს თითქმის ნახევარს ეს კოოპერატივები აწვდის პარიზს. პარიზში იყო-

დება, სხვათა შორის, რუსეთისა და დანიის კოოპერატივების ერბოც.

ვ. თ. ტოტომიანცი.

(გაგრძელება იქნება)

# საქონლის ღირებულების მეცნიერულ თეორიის განვითარება.

(გაგრძელება, იხ. კოოპ. № 10 და სხვა)

## დავით რიკარდო.

ჩვენ მიერ უკვე განხილული მეცნიერი—ადამ სმიტი—საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა 1776 წელში, დავით რიკარდო კი 1817 წ—ში. ეს ორი ხანა ფრიად შესანიშნავი მომენტებია მთელ კაცობრიობის ისტორიაში. პირველი—ხანა როცა ფეოდალური წყობილება იხრწნება, ინგრევა და შორდება სოციალურ ცხოვრებას, მეორე ხანა კი—ამ ნგრევა-რღვევის პროცესის დაბოლოვებაა, ახალ ხანის საბოლოო გამარჯვება. 1789 წელში, საფრანგეთის რევოლუციამ სრულიად დასცა ფეოდალიზმი, მე-XIX-ე საუკუნის რიჟრაჟზე კი მთელ ევროპის სივრცეზე საშინელი ქარ-ცეცხლია ამოვარდნილი და შერყეულია მთელი ძველი ძალთა განწყობილებანი. ნაპოლეონისა და „სამღვთო კავშირის“ ომებმა მთელი ევროპა დაქანცა და დაღალა, დააუძლურა მრავალი წვრილი სახელმწიფო, ხოლო კიდევ უფრო გააძლიერა დააწინაურა ძლიერი სამეფოები, გაურთულა და გაუდიდა ამ უკანასკნელთ ისედაც დიდი მოთხოვნილებანი.

არც ერთ სახელმწიფოს არ უსარგებლია ევროპის „კონცერტით“ ისე, როგორც ინგლისს. ინგლისის მიდამოზე ინგლისელის წვეთი სისხლი არ დანთხეულა, ერთი ქოხიც არ განადგურებულა, თუმცა არაოდეს ინგლისი ისე არ დავალიანებულა ფინანსიურათ, როგორც იმ ხანებში. სამაგიეროთ, ევროპის სხვა სახელმწიფოები გაცილებით უფრო გაჭირვებულ ყოფაში იყო ჩავარდნილი, ეკონომიური ცხოვრება ფრიად შევიწროებული და ერთიანათ ინგლისზე დამყარებული. ამ სინამდვილეს შემდეგი ფაქტი აშკარათ გვიმტკიცებს: ნაპოლეონი ინგლისის განადგურებას ცდილობდა, რადგან ეს ვერ მოახერხა, ინგლისის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადა და მთელ ევროპას აუკრძალა ინგლისის საქონლის ყიდვა. მაგრამ, მიუხედავათ ნაპოლეონის ბრძანებისა, თვით ნაპოლეონის ჯარი ინგლისის მაუდით იყო შემოსილი და ინგლისის ნაწარმოებით აკმაყოფილებდენ სხვა ასეთ მოთხოვნილებას. დიახ, ინგლისი ერთათ ერთი ქვეყანა იყო, საიდანაც გადამუშავებულ ნაწარმოებით ევროპას თავი უნდა დაეკმაყოფილებია, ამიტომ ინგლისის ნაწარმოებს ფრიად ფართე ბაზარი ქონდა გახსნილი და წარმოუდგენელ სისწრაფითაც მიდიოდა წინ მისი ეკონომიური კეთილდღეობაც. 1793 წელში ინგლისიდან გატანილ საქონლის რაოდენობა ოფიციალურის ცნობით უდრიდა 17.000.000 სტერლინგს, ნამდვილათ კი 20 მილ. სტ.. შემდეგ წლებში საქონლის გატანა 22 მილიონ სტერლინგამდე ავიდა, ხოლო 1800 წელში საქონლის გატანა 34 მილიონს აღემატებოდა, 1815 წ. 58 მილ. სტერლინგსაც![1]). ასეთი შესანიშნავი ზრდა ინგლისის მრეწველობისა პირდაპირ გასაშტერებელია. დაუძლურებულ ევროპის კონტინენტალურ სახელმწიფოების ექსპლოატაცია—აი წყარო ინგლისის ცხოვრების გაძლიერებისა. მარტო ისპანიამ, პორტუგალიამ, რუსეთმა, ავსტრიამ და შეერთებულ შტატებმა სუბსიდიის სახით მიიღეს ინგლისის გადამუშავებულ მრეწველობიდან 1792—1817 წ.წ. განმავლობაში 57.000 000 სტ. საქონელი[2]).

მრეწველობის ასეთი ზრდით ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრება ძირ-ფესვიანათ იცვლება, ქალაქები მსოფლიო ბაზრათ იქცევიან, სოფლის აუარებელი ხალხი მრეწველობის მოთხოვნილებით აწვება სამრეწველო ადგილებს, მიწა და სოფლის მეურნეობა კარგავს პირვანდელ ბატონობას, გავლენას, ხოლო კაპიტალი—შრომა, ამ ძალების ურთი-ერთი განწყობილება ხდება შინაარსათ ახალ ცხოვრების, ახალ პირობების. სამუშაო და სამრეწველო ადგილებში გროვდება მრავალი ათასი მშრომელ ხალხისა, ამ ხალხს მრეწველობის განვითარებით, საწარმოვო იარაღების გაუმჯობესობით დაუკარგავს მიწა-წყალი, ქონება და საარსებო საშუალებანი. ის ქალაქის ცენტრში გაჩენილა და თავის ილაჯს უდის. მუშა-ხელის მომწოდებელთა რაოდენობა შრომის მოთხოვნილებას აღემატება, ხელ-ფასი ეცემა, უმუშაობა ვრცელდება და მუშათა მდგომარეობა შემაძრწუნებელი ხდება. ამ გარემოებით ყოველი მოაზრე ხელებს ანძრევს ხმას ამაღლებს უსამართლო წყობილების წინააღმდეგ. პოეტები და ბელეტრისტები ამ გარემოებით აღელვებულნი არიან. შოტლანდიელი ბერნსი, რეფორმატორი კობეტი, პენი, კუპერი, გორდსვორტი და მრავალი სხ. მთელ თავიანთ ძალითა და ნიჭით გვიხატავენ ხალხის ტრაგიკულ მდგომარეობას. სურათი ყველგან ერთია: შრომა და შრომის ხალხი ყველგან გაჩენილა, მათზე ყველგან არის მოთხოვნილება, ამ შრომას ყველა ეწაფის, ყველა „იძენს“ და მის ზურგზე ყველა გადის. ინგლისის ეს ხანა—შრომის ჯიგნის და თელვის ხანაა, ეს ბირჟუაზიის სიცოცხლე და ბედნიერებაა. და აი ამ შესანიშნავ მომენტში გამოდის საზოგადო ასპარეზზე ჩვენი ავტორი, შესანიშნავი ეკონომისტი—

[1]) იხ. Г. Гиббинсъ, „Исторія торговли Европы“.

[2]) გიბბინსი, იქვე „Англія послѣ войны“—გვ. 179—180.

დავით რიკარდო, რომელსაც, — სამართლიანათ — კარლ მარკსი გენიალურ მოაზრეთ სთვლის.

თუ სმიტის დროს შრომა კიდევ არ შეადგენდა ყველასათვის ყველაფერს, ყოველ შემთხვევაში მას მაშინდელი მეცნიერნი სათანადოთ ვერა ხედავდენ; რიკარდო კი მძლავრ ეკონომიურ პირობებში წარმოიშვა. ეს მრავალ მუშებს ხედავდა, მისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ ეს ხალხი, რომლის შრომას ასეთი მოთხოვნილება ქონდა ბაზარზედა რომლის ძალა ყოველ ქარხანაში, ყოველ ფაბრიკაში, ყოველ დაწესებულებაში გრგვინავდა და მოძრაობდა, რაღაცა ძალას წარმოადგენდა და ეს წარმოდგენა კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ რიკარდოს უნდა დაენახა ის, რასაც ნამდვილათ ხედავდა.

რას ხედავდა რიკარდო? შრომას, შრომას ყველგან და ყველაფერში, შრომას ყველაფერზე და ყველასთან. ამ ფაკტს ის სერიოზულად უყურებს, ამ სინამდვილეს აკვირდება, იკვლევს მას მით დაინტერესებულია და ყოველ ღონეს ღონობს, რომ ის სათანადოთ გაიცნოს. რიკარდო იცნობს და სწავლობს ადამ სმიტს, ჟ. ბ. სეის, მაკ-კულოხს დ. დე-ტრასის, მალტუსსა და ყველა გამოჩენილ ეკონომისტებს, არსებულ ეკონომისტებს ის კრიტიკულათ ეხება, სადაც დადებითს რამეს აწყდება იყენებს, კიდევ უფრო ანვითარებს, კიდევ უფრო ამტკიცებს და მით მისი ნაშრომი საინტერესო გამოდის, შედარებით სმიტთან, სრული, სერიოზული და მეცნიერული.

მართლაც, დავით რიკარდო გაცილებით სერიოზული მოაზრეა, ვინემ შოტლანდიელი ადამ სმიტი. ამ სერიოზულობას ის თავის მკითხველებს ნაწარმოების პირველ გვერდებზე უშლის და ულმობელ დედუქციითა და საერთოთ აბსტრაქტულ მსჯელობით ფრიათ საგულისხმიერო სწავლას იმუშავებს.

რასა და როგორ გვიმტკიცებს რიკარდო ცხოვრების სინამდვილეს?

თ. ღლონტი.

(შემდეგი იქნება)

---

## მასალები საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელოსნობის შესასწავლათ.

(გაგრძელება, იხ. „კოოპ.“ № 10).

სტოლიარების ამხანაგობა თფილისში. სტოლიარების ალორძინების დღიდანვე, ჯიბრი, მტრობა და ნამუშევრის მუქთათ წართმევა. ეს მტრები იყვნენ ვაჭრები, ჩარჩები, მეწვრიმანეები, რომელნიც სტოლიარის ხელოსნებს პირში სულს აცლიდნენ, მათ საქონლებს სულ ორჯერ ნაკლებ ფასათ ყიდულობდენ და თითონ კი კაი ფასათ ყიდიდენ. ამიტომ დასჯილ და ლატაკ სტოლიარებში ადრიდგანვე დაიბადა საერთო მაღაზიის გახსნის სურვილი და ამისთვის 1870 წლებში თფილისში ხელის მოწერით ფულის გროებაც დაიწყეს, მაგრამ მაშინ ვერაფერი მოახერხეს და შეკრებილი ფული შემოექამათ ხელში. მას შემდეგ გავიდა 10 წელი და მათში კიდევ გაჩაღდა ამის შესახებ ლაპარაკი, თანამგრძნობთა რიცხვიც მათში დღითი-დღე ასობით ჩნდებოდა; საქმის დამწყებთა ნატვრას საზღვარი არ ქონდა. მათ ასეთ საქმის დასაწყებათ მალე გამოუჩნდათ ერთი ქართველი ფულიანი კაცი ივანე ნაკლიანიძე; ამან მისცა ფული და იარმუკაზედ სწორეთ იქ, სადაც სტოლრის ჩარჩები ვაჭრობდენ, გაუხსნა კარგი საერთო მაღაზია. მაღაზიას ყავდა გამგეობა, რომელიც რამდენიმე კაცისაგან შესდგებოდა, ყავდათ წევრები, არსებობდა კაი ამხანაგობა. სახლში მომუშავე ხელოსნებს თავიანთ განაკეთებ ნივთები აქ ამ მაღაზიაში უნდა მოეტანათ და დაეწყოთ გასაყიდათ, აქ გაიყიდებოდა იგი ბევრათ უფრო კაი ფასათ, ვინემ ჩარჩები იყიდდენ და მერე ფულიც მიეცემოდა. ვისაც სამუშაო მასალის გამო გაჭირვება ქონდა, იმას წინათ სესხათ ფულსაც აძლევდენ, მერე საქონელს რომ მოიტანდა და გაიყიდებოდა, იქიდან გამოურიცხავდნენ წანაღებს. ამ ამხანაგობასაც ბევრი საპატიო წევრიც ყავდა თვის შორის მიღებული. აქაც პირველ ხანში ხელოსნები, გამგენი თუ მართველნი და მუშებიც ჩინებულათ იქცეოდენ, საქმე კარგათ მიდიოდა, ჩარჩებს დიდ კონკურენციას უწევდენ, მაგრამ სამწუხაროთ აირივ-დაირივნენ და მაღაზიის საქმეც ისე დაღუპეს, რომ კინაღამ ფულის პატრონს თანხა სულ დაეკარგა. მაინც ბევრი დაუკარგა მას. ბოლოს საქმე იმაზედ მივიდა, რომ ხელოსნებისა და მუშების ბოროტებით, ეს ფულიანი კაცი სულ არ დაღუპულიყო და სულ ცარიელი არ დარჩენილიყო, ხსენებული საერთო მაღაზია დაიკეტა და რაც რამ ნივთები ქონდათ ყოველივე ფულის პატრონს დაუტოვეს, რადგანაც მისი ემართათ; საქმისთვის წაილეს ამხანაგურის დავალებით და მერე კი მთლათ გადაიხადეს. 1883 წ. დაარსებული საერთო მაღაზია 1888 წ. ხელოსნებში ბევრი მითქმა მოთქმა გამოიწვია. მაღაზიის დაღუპვის ბრალს ერთმანეთს სდებდენ, ასეთ კამათის და ლანძღვა გინების დროს აღეძრათ კვალად ნატვრა, რომ ჩვენ სტალრებმა კვალად უნდა დავაარსოთ საერთო ქარხანა და

მაღაზია და ამისთვის ჩვენ უნდა დახმარება ვთხოვოთ თვით ჩვენს ქართველს მოღვაწეებს და მწერლებსაცაო. ამ ახალ დასაარსებელ ქარხანასა და საერთო მაღაზიის შესახებაც მალე დაიწყეს კამათი, კრებები, ლაპარაკი, გეგმების შედგენა და სხვაც ასეთი მრავალი. რადგანაც ამის ლაპარაკის დაწყებით დაიწყო მათში კვალად ნატვრა საქმის დაარსებისათვის, ამიტომ ჩვენც აქედან ახალის სტრიქონით მივმართავთ მის ანუსხვას.

თფილისის სტოლიარების საერთო ქარხანა. ამ საინტერესო ქარხნის დამაარსებელი რიცხვი იმავ თავიდანვე დიდი იყო, მნატვრელთა შორის იყვნენ თითო ოროლა ისეთი ხელოსნებიც, რომლებიც გამოწვრთნილები იყვნენ ქართულის მწიგნობრობის საშვალებითაც; მათ ქონდათ საკმარისი შესმენა მუშათა და ხელოსანთა ცხოვრების კითხვების შესახებ. ვიტყვით, რომ ზოგნი ისეთებიც იყვნენ, რომელთაც კოოპერატიულ და ასოციაციურ წყობილებათა შესახებაც კარგი მიხვედრა ქონდათ მათ შესწავლილი ქონდათ ის მოძღვრებაც, რომ საერთო გრძნობით და ერთობით იქნება მუშათა ცხოვრების მაგრამ მის მაგიერ მათი შეერთება, ერთათ ყოფნა და თუნდ რამდენიმე კაცის თათბირი და სხვანი იქონიებს დიდს მნიშვნელობას. ამიტომ როგორც უნდა იქნეს, ჩვენ უნდა ვეცადოთ და ასეთი ქარხანა დავაარსოთო. ასეთ ხელოსანთა რიცხვს ეკუთვნოდა ხელობით სტალარი მიხეილ ჩოდრაშვილი, რომელიც სიყრმიდანვე ამ ხელობაში იყო აღზრდილი თავის ხელობა იცოდა სანაქებოთ; ამქარში, სადაც ერთი და ორი გამოჩნდება, იქ მათ შორის ესეც იჭერდა კარგ ადგილს. ხელობის ცოდნის გარეშე თავის შეძლების და გვარათ მომზადებულიც არის, ქართული წიგნების კითხვასაც მისდევს, იმავ თავიდანვე ბევრ საზოგადო საქმეთა გულ-მხურვალე პატივისმცემელიც იყო. ამ პირს კაი ცნობა აქვს მთელის ჩვენის საზოგადო მოღვაწეთა. მისის მეთაურობით მრავალმა ხელოსნებმა დაიწყეს სხვადასხვა დროს კრებები და ასეთ საზოგადო ქარხნის დაარსებისთვის საუბარი და გეგმის შედგენა. მალე ამისთვის მათ მომრიგის დავალებით ილია ჭავჭავაძეს, ანტონ ფურცელაძეს და სხვათა სახელესნოში აცნობეს მათ თავიანთი განსაზღვრა. ილ. ჭავჭავაძეს ანტ. ფურცელაძეს და სხვასაც დიდათ მოეწონათ ამათი განზრახვა, აქეს მათი წადილი და უთხრეს საქმის განხორციელება და დროით დაწყება. ამათ შემდეგ მათ ნახეს სხვა მცოდნე კაცნიც და მათთან საუბრის და ლაპარაკის შემდეგ მალე წესდების შეძენასაც შეუდგენ, ეს მალეც შეადგინეს და მთავრობასაც წარუდგინეს დასამტკიცებლად; მთავრობამაც მალე დაამტკიცა წესდება, მალე პაიბიც გამოცხადდა. ამ საერთო სახელოსნო საქმეს მთელმა საზოგადოებამ კაის თვალით შეხედა. წევრთა შორის ჩაეწერა ილია ჭავჭავაძეც, ანტონ ფურცელაძე და რამდენიმე სხვა უწარჩინებულესნი გვამნი ქართველთა. ხელოსნები მალე შეუდგენ საქარხანო შენობის ძებნას, მალე მოაწყვეს იარაღი, სახელოსნო ყველა საჭიროებანი და მასალა, მადათოვის კუნძულზედ შენობაც დაიჭირეს, კარგი დიდი ფართო ქარხანა და დაიწყეს შიგ მუშაობა და მოქმედება. მებელს აკეთებდენ მშვენიერათ, მათ უკვეთამდენ მებელს თითქმის ყველა ჩვენი მოწინავე პირნი და არც ფასზედ ალაპარაკებდნენ. მოკლე დროის განმავლობაში ქარხნის საქმე ფეხზედ დადგა მალე შაგირდების აყვანაც დაიწყეს, შაგირდების რიცხვი 10 მეტი იყო. შაგირდებს ხელოსნობის გარეშე ასწავლიდენ წერა-კითხვას და ქართულ წიგნების კითხვასაც აჩვევდენ. ერთი წლის განმავლობაში ეს ქარხანა ფეხზედ დადგა და საქმე ისე მოეწყო, რომ მის წლიურს კრებაზედ ესწრებოდენ და ხანდისხან თავმჯდომარეობდენ კიდეც ილია ჭავჭავაძე, ანტონ ფურცელაძე და მრავალიც სხვანი. საქმე, მუშაობა, მებელის კეთება, შაგირდების აყვანა, მებელის გასაღება, ერთის სიტყვით მთელი საქარხნო საქმიანობა ჩინებულათ მიდიოდა, მოგებაც კარგი რჩებოდათ, სხვადასხვა ხელოსნების ნაწარმოებსაც ასაღებდენ. იმედი იყო, რომ თუ მათ შორის ისე წავიდოდა საქმე, ბოლოს ეს საერთო საქმის ქარხანაც ფეხზედ დადგებოდა და მის შეგნებას, რომ ის რაც ცალკ-ცალკე შეუძლებელი ხდება მათთვის რომ გაკეთდეს, იგი ერთობ ადვილია შეერთებულის ძალისთვის და ყოველივეს ადვილად აკეთებდენ. მაგრამ სამწუხაროთ აქაც იგივე უბედურება დატრიალდა რაც ზემოთ მოთვლილლი საზოგადო სავაჭროებსა და ასეთ საქარხნო და სამრეწველო ადგილებში. ჩამოვარდა ქართული კინკლაობა, შენ-ჩემობა, ჭორები ჩხუბი, და ვინ იცის რამდენი ასეთი რაგინდა რა. უკანასკნელ და უმართებულოთ გადაეკიდენ ქარხნის მართველს და დამაარსებელს მიხეილ ჩოდორაშვილს და ბოლოს საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ მ. ჩოდორაშვილი იძულებული იყო წარმოებისათვის თავი დაენებებინა, ამის მონატრული იყვნენ მისი მოქიშპეებიც. მალე გავიდა ეს პირი და ქარხანამ მის შემდეგაც იარსება, მაგრამ ლოღიალით, რადგანაც საქმე აირია, ხელოსანთა განხეთქილება და შუღლი წინ წავიდა. ნელა-ნელა ქარხანას სამარე ეთხრებოდა ამას ზოგიერთნი კარგადვე გრძნობდენ და ნატრობდენ

რომ ამ სამაგალითო ქარხანას ეს არ მოვლენოდა, მაგრამ ამითიც არა იქმნა რა. შემდეგ აქ დადგა გამგეთ ცნობილი ენერგიული კაცი გრიგოლ თოიძე, რომელმაც თავდადებით და ჩინებულათ მართა საქარხნო საქმენი, ცოტათ ამან ფეხზედ წამოსწია სახელოსნოს საქმე და ბევრსაც ცდილობდა, რომ ქირხანა ფეხზედ დამდგარიყო და არ დახურულიყო, მაგრამ რაკი ხელოსნებმა ერთხელ აიყარეს საქმეზე გული და ერთმანეთის მტრობას და ქიშპობას მიეცენ. ამის შემდეგ კი ყოველივე ენერგიული ცდა და შრომა უნაყოფოთ მიდიოდა, სახელოსნოს უმზადდებოდა ცუდი მომავალი. ბევრი აურ-ზაურის და ხელოსანთა განხეთქილების შემდეგ, დაიხურა ეს ქარხანაც და მოისპო მით ყოველივე საიმედო ნიშნები სახელოსნოსი. ეს ქარხანა დაარსდა 1880 წ. და დაიკეტა 1901 წელს. პაები დაიკარგა, რაც ქონება ქონდათ ის ვალებსაც არ ეყო. აი ასე უბედურათ გათავდა ამ სასარგებლო სამუშაო ქარხნის საქმე და მის საშუალებით ფუჭად იქმნა ქცეული ის ამაგი და შრომაც, რაც მის დამაარსებელ მიხეილ ჩოდარაშვილმა და სხვათაც გასწიეს. რაღა ფიქრი უნდა რომ ასეთი მარცხი სახელოსნოსი იყო რამდენიმე ავი და შურიანი კაცის წყალობა და არა ქარხნის საქმიანობის უმნიშვნელობა და საზოგადოებისაგან არ გატანა, გულგრილობა. საზოგადოება საკმარის პატივს სცემდა და შეძლების და გვარათ ხელსაც უწყობდა, ხოლო თვით ხელოსნები იყვენ ერთმანეთზედ გადაკიდებულნი: არა მე ვიყო მეთაური და არა მეო. აი ეს იყო მიზეზი სულ ამ სახელოსნოს უბედურების. ეს რომ ასე არ ყოფილიყო და საქმე დამდგარიყო ისე, როგორც მის დამაარსებელ მეთაურთ სურდათ, მაშინ ეს საქმე არ მოისპობოდა, იგი ხელოსანთა საქებრად დღესაც იქმნებოდა, მისი საშვალებით ბევრი ხელმოკლე ხელოსანი ისარგებლებდა. ამაზედ უნდა გავჩუმდეთ, მეტი ლაპარაკი აღარ არის საჭირო, ვგონებ მკითხველი მიხვდება საქმის უხეიროთ წაყვანის მიზეზებს და ამიტომ ამაზედ გული არავის აეყრება, ხელოსანთ შორის მაინც ყოველთვის იმუშავებს ერთობის აზრი და ნატვრა. უამისოთ ღარიბ ხელოსნებს მომავალშიაც ძლიერ გაუჭირდებათ, იგინი ბევრს შეწუხებას ნახვენ და ამიტომ საერთო მუშავობის ნატვრას და წადილს ზურგი არ უნდა აუდრიკონ, პირი არ უნდა არიდონ, რომ რაკი ერთი და ორი დაწესებული საერთო საქმენი ცუდათ წავიდა, ამიტომ ჩვენც ცუდათ წაგვივაო. არა, ეს ასე არ იქმნება, საქმე უკეთ წავა ყოველთვის თუ საქმის მეთაურნი და მწარმოებელნი იქმნებიან პატიოსანი როცა ასეთი კაცები იქმნებიან, მაშინ საქმეებიც ისე წავა, როგორც აქ მოთვლილ საზოგადო დაწესებულებათა წრეებში. წინეთ კარგად მიდიოდა საქმენი, როცა კარგი კაცები აღარ იყვენ და გამოეცალენ, მაშინ საქმეც ცუდათ წავიდა, ასევე იქმნება ყოველგან და ყოველთვის და სადაც ასეთი კაცები იქმნებიან დამკვიდრებული იქ საქმეც კარგათ წავა. ამიტომ ჩვენს ამ წერილზედ გულს ნურვინ გაიტეხავს.

**ზ. ჭიჭინაძე.**

(შემდეგი იქნება).

# კოოპერაცია საზღვარ გარეთ

**კოოპერატიული პანსიონი შვეიცარიის მთებში.**

გავიხადე რა ჩვეულება თ ყოველ წლობით გავატარო ზაფხული კოოპერატიულ პანსიონებში, მე ამ წელისაც არ მიღალატნია თავის ჩვეულებაზე რადგანაც იტალიის კოოპერატიული პანსიონი ალიასსიო ცოტა შორსაა, ამის გამო მე გადავსწყვიტე დარჩენა „Ferilnheim-ში“, ე. ი. ობერრიკენბახის (ნიდვალბნის კანტონი,) კოოპერაციის „საკანიკულო სალხში“

საინტერესოა ამ კოოპერატივის წარმოშობა. ის დაარსა 1908 წ. ლიუცერნის მომხმარებელ საზოგადოების მოსამსახურეთა კავშირმა. ამ კავშირს ყავს 170 წევრი, რომლებთაგან თითქმის ნახევარი ქალებია. მოსამსახურეების ასეთი დიდი რიცხვი აიხსნება იმ გარემოებით, რომ ლიუცერნის საზოგადოებაში ითვლება 17,000 წევრი. საზოგადოება აწვდის სანოვაგეს თითქმის მთელ ქალაქს და მის გარშემო მდებარე სოფლებს. საზოგადოების აღებ-მიცემა უკანასკნელ საანგარიშო წელს უდრიდა $4^1/_2$ მილიონ ფრანკს (ფრანკი გერმანიაში—48 კაპ.), ხოლო უძრავი ქონება, სარძევე, საფუტკრე და სხვა—2 მილ. ფრანკს. საზოგადოებასთან არსებობს შემნახველი კასა, ფურნე და წყლის ქარხანა. ამის გარდა, მან (საზოგადოებამ) დაარსა საავათმყოფო და დამხმარებელი კასა მოსამსახურეებისთვის დ აგრეთვე განსაკუთრებული ფონდი წევრების საჭიროებისთვის. მომხმარებელ საზოგადოების მოსამსახურეებმა დაარსეს კავშირი ურთიერთ დახმარებისა, სასარგებლო გართობისა და სწავლა-განათლების მიზნით.

მათი გასავლის აღრიცხვაში აღნიშნულია, სხვათა შორის, საჩუქარი მოსამსახურე ქალებისთვის, გათხოვის დროს, სეირნობა ნავზედში, დახმარება მოგზაურობათა გუნდს და სხვა. კავშირი სარგებლობს, გარდა საწევრო გადასახადისა, მომხმარებელ საზო-

გადოების დახმარებით, რომელიც 1910 წ. გამოხატულა იმაში, რომ საზოგადოებას დაუფარავს მცირე დეფიციტი, რომელიც მოსვლია კავშირს კოოპერატიულ პანსიონიდან.

ობერიკენბახი მდებარეობს ენგელბერგის გვერდით, 1000 ფუტის სიმაღლეზე. ეს არის პაწია (200 მცხოვრები, მათ შორის $^2/_3$ ქალებია) სოფელი, რომელიც ჩაფლულია მიყრუებულ მთებს შუა, სადაც არ წვდება არც ორთქლ-მავალი და არც ავტომობილი. ყველგან ნერვების დამამშვიდებელი სიწყნარეა. ისმის მხოლოთ ნელი ხმა ბუნებისა; ჩუხჩუხებენ ჩანჩქერი და წყაროები. ეს ქარისგან დაფარული სოფელი ერთობ აყვავებულია და ეს გარემოება საინტერესოთ ხდის, როგორც მთელს სოფელს, ისე, კერძოთ, კოოპერატიულ პანსიონსაც.

ოთახისა და საჭმელისთვის (4-ჯერ) დღეში პანსიონი ღებულობს 4 ფრანკს დიდებისგან და 3 ბავშებისგან. ასეთი პატარა გადასახადი აიხსნება იმით, რომ აქ არ ხელმძღვანელობენ კომერციულ მოსაზრებით და თან მოსამსახურეთა რიცხვი ძლიერ მცირეა: ორი მოზდილი ბავშვი და ერთი გოგო. პანსიონისგამგე (იგივე მზარეულიცაა) ქ ნი დუსერი შრომის მოყვარე და გულკეთილი ადამიანია. ის სახელ-განთქმულია კოოპერატორებს შორის და ზოგიერთები უძახიან მას „დედას". სამწუხაროთ პანსიონში შეიძლება მხოლოდ ოცი კაცის მიღება, რის გამო ბევრი ახლაც უცდის რიგს. პანსიონისთვის საზოგადოებას იჯარით აქვს აღებული ერთი გლეხისგან 2 სახლი. ახლო მომავალში მას განზრახვა აქვს ააშენოს საკუთარი სახლი. განზრახვა აქვთ აგრეთვე გადასცენ პანსიონი ბაზელის (შვეიცარია) კოოპერატიულ კავშირს.

გ. ტოტომიანცი.

---

# კოოპერაცია ჩვენში.

✦ **სოხუმი.** მოუთმენლათ მოელიან მომხმარებელ სასოგადოების წესდების დამტკიცებას. მომხმარებელ საქოგადოებას აქ ძლიერ კარგი ნიადაგი აქვს, ვინაიდან ადგილობრივ ჩარჩ-ვაჭრების თავ-გასულობას არ უჩანს საზღვარი. წესდების მიღების თანავე საზოგადოება დაიწყებს მოქმედებას, არც ისე მცირედი თანხით მაინც და მაინც, რადგანაც ბევრია საზოგდოებაში ჩაწერის მსურველები.

✦ ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო დაწესებულება და მომხმარებელი საზოგადოება „**პროგრესი**".

როგორც ვიცით, ამას წინეთ დასახელებულ საკრედიტო ამხანაგობის რამოდენიმე წევრებმა შეაწევდება მომხმარებელ საზოგადოების და წარუდგინეს გუბერნატორს დასამტკიცებლათ. როგორც გავიგეთ, გამოძიება საქმის უკვე თავდება და ეჭვს გარეშეა, რომ ამ დღეემში წესდება დამტკიცებული იქნება. ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა ექნება დასავლეთ საქართველოს კოოპერაციის საქმეში, ვინაიდან აქ უნდა ჩაიყაროს საძირკველი ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივების კავშირისა. დამაარსებლები ყოველივე ზომას ღებულობენ, რომ რაც შეიძლება მეტი წევრები ჩაეწერონ მომავალ საზოგადოებაში. ვუსურვებთ მათ სიმხნევეს და ენერგიულ მუშაობას, რაც თავდები იქნება მათ მიერ დაწყებულ საქმის ბრწყინვალე გამარჯვების.

კოოპერატორი.

---

# კოოპერაცია რუსეთში.

✦ **კოოპერატორების მგზავრობა.** მომხმარებელი საზოგადოება „Трудовая копѣйка" მართავს 100 კაცისაგან შემდგარ ექსკურსია ოდესის გამოფენის დასათვალიერებლათ. გარდა გამოფენისა, განზრახვა აქვთ დაათვალიერონ მუზეუმები, ლაბორატორიები დ̃ სურათების გალერეიები. საექსკურსიოთ აურჩევიათ უქმი დღეები, მგზავრობა გადაწყვეტილია ზღვით, და ამნაირათ, ეს ექსკურსია გარდა ამხანაგური გრძნობის გაღვიძებისა მრავალ სიამოვნებას მიანიჭებს ექსკურსანტებს. სასურველია, რომ ასეთი მგზავრობა ხშირ-ხშირათ ხდებოდეს, რაც ხელს შეუწყობს შეერთებას არა მარტო ეკონომიურ ნიადაგზე, არამედ სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც.

---

# მიმდინარე ცხოვრება.

✦ **ლექცია.** დღეს, პირველ საათის ნახევარზე, ქალაქის თეატრში, იასონ გაბილაია წაიკითხავს *სახალხო ლექციას* კოოპერაციის მნიშვნელობაზე შემდეგის პროგრამით:

1) ეკონომიური დაქვეითება საერთოთ და განსაკუთრებით ჩვენში, 2) კოოპერაცია და ეკონომიური მეცნიერება, 3) თანამედროვე ვაჭრობის დახასიათება, 4) კოოპერაციის მიზანი, 5) კოოპე-

რაციის გავლენა მშრომელთა სულიერ განწყობილებაზე, 6) საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა აზრი კოოპერაციაზე, 7) კოოპერაციის დასაწყისი, 8) რობერტ ოუენი და მისი ცხოვრება, 9) ქალაქ როჩდელის პიონერები და მათი პრინციპები, 10) კოოპერაციის სხვადასხვა ფორმები, 11) ქალების როლი კოოპერაციაში, 12) დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრების მოკლე მიმოხილვა 13) კოოპერიცია ჩვენში. 14) კოოპერაციის ნეიტრალობა, 15) ორიოდე სიტყვა კოოპერაციის მომავალზე ჩვენში.

ლექციას დაერთობა შემდეგი ბუნდოვანის ურათები დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებიდან:

## ი ნ გ ლ ი ს ი.

### I. კოოპერაციის დასაწყისი.

1) რობერტ ოუენი, 2) რ. ოუენი თავის ოჯახში, 3) ქ. ნიუ-ლანარკი, 4) უმთავრესი შენობები ნიუ-ლანარკში, 5) სკოლა ნიუ-ლანარკში, 6) საბავშო ბაღი იქვე, 7) ქალაქი მომავალში ოუენის წარმოდგენით.

### II. ცალკე კოოპერატივები.

8) როჩდელის პიონერების პირველ-დაწყებითი შენობა, 9) უმთავრესი შენობა როჩდელის პიონერ-ბისა აწლა, 10) წიგნთ-საცავი, 11) ხოლიოკი, როჩდ. პიონერების ისტორიკოსი, 12) ლინკოლის ამხანაგობის უმთავრესი შენობა, 13) წისქვილი, ფურნე და სატკბილეულო, 14) ლიდის მომხმ. საზოგადოება.

### III. ინგლისის კოოპერატივების კავშირი.

15) ბაკალიურ საქონლებისა და ფეხსაცმელების უმთავრესი საწყობი მანჩესტერში, 16) მაუდების საწყობი იქვე, 17 საწყობი ნიუკესტლში, 18) საწყობი ლონდონში, 19) საწყობი და ჩაის ასაწონი იქვე, 20) მუშები ჩაის კოოპერატიულ პლანტაციაში, ინდოეთში, 21) წისქვილი ოლდგეში, 22) კიდევ ერთი ორქლის წისქვილი, 23) საპნის ქარხანა, 24) ფეხსაცმელების ფაბრიკა ლეიჩესტერში, 25) დამზადებულ ტანსაცმელების ფაბრიკა, 26) მაუდების ფაბრიკა ბატლეიაში, 27) ქოლგებისა და „პლაშების“ ფაბრიკა, 28) კონსერვებისა და სატკბილეულო საქონლების ფაბრიკა მილტონში, 29) ერბოს დამზადება (маслодѣлня) ირლანდიაში, 30) „თავისუფლება“, ორთქლმავალი; კავშირს ყავს შვიდი ასეთი ორთქლ-მავალი, 31) შოტლანდიის კავშირის ნარდათ სავაჭრო (უმთავრესი შენობა) 32) წარმოება შილდხოლგში, 33) ცენტრალური ფურნის შენობა გლაზგოვში, 34) მასკვლი, შოტლანდიის კავშირის თავმჯდომარე,35) ბრწყინვალე სხდომა კრემპსალში, 36) კოოპერატიული სანატორია როდენში, 37) საზაფხულო კოოპერატიული პანსიონი გილსლენდში.

## ბ ე ლ გ ი ა.

### IV. გენტის მომხმარებელი საზოგადოება „წინ“.

38) პირველ-დაწყებითი შენობა 1881 წ., 39) უმთავრესი შენობა ახლა, 40) მისი განყოფილება, 41) რესტორანი უმთავრეს შენობაში, 32—43) სასადილო და საჩაიო, 44) წიგნთ-საცავ-სამკითხველო, 45) საბჭოს სხდომა, 46) ფურნე, 47) მისი მოწყობილობა, 48) ნახშირის საწყობი, 49) „შეერთებულ მქსოველთა არტელის“ ფაბრიკა, 50—51) სტამბა, 52) საავათმყოფო, 53) პენსიონერები, 54) გიმნასტიკური წრე, 55) ორკესტრი „წინ“.

## V რ უ ს ე თ ი.

56) იუზოვის მოუხმ. საზოგ. გამგეობა, მაღაზია და წიგნთ-საცავი, 57) მომხმ. საზ. „შთო“, იაროსლ. გუბ. 58) პოლტავის მოხელეთა „ეკონომიური საზოგადოება“, 59) ახალ-კოსტრომის ქსელის მანუფაქტურის მუშებისა და მოსამსახურეების მომხმ. საზ., 60) საზ. „Единеніе спла“ ივანოვო-ვოზნესენსკი, 61) კულეის მომხმ. ამხ. 62) მისი გამგეობის სხდომა, 63) კოსტრომის მომხმარებელი ამხანაგობა, 64) მომხმ. საზ. პავლოვში, ნიჟეგოროდის გუბ., 65) ერთი მისი განყოფილება, 66) მოსკოვის მომთხოვნელ ამხანაგობათა კავშირის აღებ-მიცემა, 67) მოკავშირეთა რიცხვის ზრდა; 68) სრულიათ რუსეთის მოღვაწეთა სიეზდი მოსკოვში, 1908 წ., 69) საკრედიტო სეკცია.

✦ დასამახსოვრებლათ. (დღევანდელ ლექციის გამო) ა) სიტყვა კოოპერაცია ნიშნავს თანამშრომლობას, შეერთებულის ძალით რისიმე გაკეთებას. ბ) კოოპერაციის მიზანია სახალხო მეურნეობის გაუმჯობესობა, პირად ინტერესების საზოგადო ინტერესებისათვის დამორჩილება. მისი მიზანია, რომ ის მოგება, რომელიც სხვადასხვა დამქირავებლებს მიაქვს, თვით ხალხს დარჩეს, ვინაიდან წარმოების გამგეთ თვით ხალხი უნდა გამოდიოდეს, ნაწარმოების, საქონლის, გამნაწილებლათ-კი — თითონ მყიდველი (საამხანაგო სავაჭროს საშვალებით); გ) კოოპერა-

ციის საშვალებით ხალხი კარგ საქონლებს იძენს უტყუარ წონითა და ფასით, დ) კოოპერატივები დახმარებას უწევენ თავის წევრებს ავათმყოფობისა და სხვა გაჭივრების დროს და აარსებენ სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს: სკოლას, წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საავათმყოს და ხხვ.

ქ. როჩრდელის პიონერების პრინციპები: 1) გაყიდვა ნაღდზე 2) გაყიდვა საშვალო მაზანდის მიხედვით, 3) საქონელი იყიდება წევრზედ და არა წევრზედაც, 4) დივიდენდები (მოგება) რიგდება იმის დამიხედვით, თუ ვის რამდენი საქონელი უყიდია, 5) პაის დაბალი ფასი 6) პაის რაოდენობის განსაზღვრა თითეულ პირისთვის, 7) თითეულ წევრს, რამდენი პაიც არ უნდა ქონდეს მას, აქვს მხოლოთ ერთი ხმა.

✦ მადლობა თანაგრძნობა-დახმარებისთვის. რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს ბიკტორ გოცირიძეს და მიტროფანე ლალიძეს ფულით დახმარებისთვის. მათგან უკვე მივიღეთ ოც-ოცი მანეთი, ხოლო პ. ფერაძეს ერთი დღე 2 ასოთ-ამწყობლების დახმარებისთვის.

✦ ჭიათურა. ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით სამშაბათს, 6 სეკტემბერს, საღამოს 7 საათზე, აქ გაიმართება ლექცია კოოპერაცის მნიშვნელობაზე. ლექციას დაერთოვა ბუნდოვანი სურათები.

✦ მადლობა ხელის მოწერის გამართვისთვის. ულრმეს მადლობას უცხადებს «კოოპერაციის» რედაქცია ხელის მომწერლების შოვნისთვის პეტრე ბერულავასა და მოსოსი დგებუაძეს (ს. უშაფათის საკრედიტო ამხანაგობის წარმომადგენლებს), მირიან რუსეიშვილს (ქუთაისი), პლატონ ლეჟავას (ბელაგორი) და მიტროფან შავიშვილს (სოხუმი).

# წერილი ბზვანიდან.

სოფელი ბზვანი მდებარეობს ქუთაისიდან ჩრდილოეთით, მდინარე რიონის მახლობლათ, და წარმოადგენს გორაკებსა და აქა-იქ ვაკეებს. ბუნებრივ სიმდიდრით ამ სოფელს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ხოლო სწავლა-განათლებით ის ძლიერ ჩამორჩენილია. შესეფერი გზის უქონლობის გამო დიდათ ფერხდება მისი წინ-მსვლელობის საქმე. სოფლიდან ქუთაისში მიმავალი გზა ამ უკანასკნელ დრომდე ხშირათ გაუალ გზას წარმოადგენდა. ამ გზით მოსიარულე გლეხები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. თუ კარგი ამიდი არ იქნებოდა ისე აქიდან ქუთაისში წასვლას ვერავინ გაბედავდა და თუ განსაკუთრებულ საჭიროების გამო წავიდოდა ვინმე, სახლში დაბრუნება საეჭვო იყო: ან რიონის შტოში ჩაიხრჩობოდა და ან სადმე ტლაპოში ჩავარდებოდა და ამოსვლას ძლივს-ძლიობით თუ მოახერხებდა. ბევრი მგზავრები გამოსალმებია წუთი სოფელს ამის გამო. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება მთავრობამ და ახლა უკვე შეკეთებულია ეს თითქმის გაუვალი გზა, მალე როგორც ამბობენ მდინარე რიონზედაც იქნება ჩადგმული კარგი პორომი ამის თაოსნობა ეკუთვნის ადგილობრივ მღვდელს გ. ტყეშელაშვილს, საჭირო ფული ხალხს უკვე მოუგროვებია და ეს ფრიათ სიმპატიური და სასარგებლო საქმე მალე იქნება განხორციელებული. ამის შემდეგ ბზვანელებს მეტი მოეთხოვება: მათ უნდა მიყონ ხელი სწავლა-განათლების საქმეს, დაიარსონ სასწავლებელი და სხვა. კარგი ნიადაგია აქ მომხმარებელი საზოგდოებისთვის და ძლიერ კარგი იქნება ამ გარემოებასაც მიაქცევდენ ყურადღებას ადგილობრივი მცხოვრებნი. საჭიროა მეტი ზრუნვა კეთილდღეობისთვის, ვინემ შანტეკლერის კაბებზე (აქაც დაინახავთ ასეთიანებს).

ამ სოფელში არ არის არც ექიმი და არც ფერშალი საზოგადოებისგან დაქირავებული, როგორც ზოგიერთ სხვა სოფლებში. ამით სარგებლობენ უბრალო სოფლის დედაკაცები, რომლებიდანაც მიაქვთ „წამალი“ სოფლელებს. განსაკუთრებით მეტი „სახელი“ გაითქვა კ—ნე ს. ნადირაძის ასულმა რომელიც ავათმყოფების უნახავათაც კი იძლევა რაღაც წამლებს.

მეტია ლაპარაკი იმაზე თუ რა მავნებლობა მოაქვს ხალხისათვის ასეთ ქალ-ბატონებს და დროა მიაქციონ ყურადღება მათ თავ-გასულობას.

**ბზვანელი.**

---

# ნ ა რ ე ვ ი

✦ **კოოპერატიული სადგომები.** ბერლინში ვრცელდება ეგრეთ წოდებული ერთ სამზარეულოიანი სახლები. ძლიერ კარგათ აგვიწერს ამ სახლებს ერთ თავის ფელეტონში „P. B.“-ის თანამშრომელი ბ. ბუკვა. ერთ სამზარეულოიან სახლში, როგორც თვით სახელი გვიჩვენებს, ჩვეულებრივი სამზარეულობი სულაც არ არის. მათ ადგილს

იკავებს ერთი ცენტრალური სამზარეულო, რომელიც აკმაყოფილებს 5-6 სართულიან სახლს ასზე მეტი სადგომებით (квартиры). ის მოთავსებულია ჩვეულებრივათ განცალკევებულ შენობაში. სამზარეულოში გამართულია რამოდენიმე ვეებერთელა, 3-5 საჟენიანი პლიტები, ზოგჯელ მეტი საშვალო და პატარა, რამოდენიმე სამზარეულოს ფეჩები, ახალ სისტემის საყინულე, აკვართუმი ცოცხალ თევზებისათვის, სხვადასხვა სარდაფები და სხვა. ცენტრალური სამზარეულო შეერთებულია მექანიკურათ ცალკე სადგურებთან. სპეციალურ ვაგონ-ჭურჭლის საშვალებით დგუმურები ღებულობენ ყოველნაირ საჭმელ-სასმელს...

ამნაირათ, ფურიეს *) ერთი წინასწარმეტყველება, ოჯახის ასოციაცია—უკვე განუხორციელებიათ გერმანიის სატახტო ქალაქში.

✦ **ბავშები კოოპერატორები.** პარიზში ამას წინეთ დასრსდა საინტერესო პატარა პანსიონი იმ ბავშების მიერ, რომლების მშობლები შედიან წვერათ ადგილობრივ კოოპერატივში.

ეს „კოოპერატივი" ნარდათ ყიდულობს სამოსწავლო ნივთებს და შემდეგ ანაწილებს თავიანთ წევრებს შორის. წინასწარ ორივე საქმის მოწაფეებმა მოახდინეს კრება, აირჩიეს თავმჯდომარეთ მდივანი და შეადგინეს ოქმი, რომელიც შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა საკოოპერაციო ჟურნალში. ახალგაზდა კოოპერატორებმა გადასწყვიტეს, ამას გარდა, კონფეტების ყიდვა, აირჩიეს გამყიდველები კონტროლები და დააწესეს საწევრო გადასახადი, საინტერესოა, რომ დიდ კოოპერატივებმა გადასწყვიტეს მისცენ მათ მხოლოდ რჩევა-დარიგება.

*) ფურიეს ბიოგრაფია სურათით მოთავსებული იქნება მახლობელ ნომერში. **რედ.**

რედაქტორი **იასონ გაბილაია.**
გამომცემელი **გრიგოლ ნარაკიძე.**


# განცხადებანი.

ამ წლის 14 აგვისტოდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ დღიური სამეცნიერო, საპოლიტიკო და და სალიტერატურო ქართული გაზეთი

## „მნათობი"

**გაზეთის ფასი:** წლიურათ 7 მ. ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით ქუთაისში 2 მ. 20 კ. ქუთაისის გარეთ 2 მან. 50 კ., თვიურათ ქუთაისში 80 კ. ქ უ თ ა ი ს ი ს გარეთ 90 კ., თითო ნომერი ყველგან ერთი შაური საზღვარ გარეთ წლით 15 მ.

რედაქტორ-გამომცემელი: **რაჟდენ ვაჭრიძე**

# ყველა მეოჯახე ქალების საყურადღებოთ!

გაუფრთხილდით თქვენს ჯან-მრთელობას და თქვენს თეთრეულს იმით რომ არეცხიეთ „ვაშენეს" საპონით. „ვაშენეს" საპონით გარეცხილი თეთრეული ერთის ანუ ორი წლის მაგიერ გაგიძლებსთ 6-8 წელს. „ვაშენეს" საპნით ირეცხება თეთრეული 15 წამს ხელის თუ ჩოთქის უსრესელათ. „ვაშენეს" საპონი უვნებელია როგორც თეთრეულობისათვის, აგრეთვე ჯან-მრთელობისთვისაც. „ვაშენეს" საპონით რეცხვის დროს ზედმეტია „ვივოდკის", სოდის თუ სხვა ლაქების გამოსაყვან საშვალებების ხმარება, რომლებიც აფუჭებენ (სწვავენ) სარეცხს, „ვაშენეს" საპონი დეზინფექციას უშვება სარეცხს, რაც უკვე დამტკიცებულია როგორც პეტერბურგის უმთავრეს საექიმო გამგეობისაგან, აგრეთვე საზღვარ გარეთელ პროფესორ-ექიმებიდანაც. „ვაშენეს" საპონი დიდს ეკონომიას შვრება როგორც ფულით, აგრეთვე დროითაც (მაგალითად ოთხი დღის სარეცხი სულ იოლათ შეგიძლიან გარეცხოთ ერთ დღეზედ უფრო ნაკლებ-დროში) „ვაშენეს" საპონს აქვს ოქროს მედალი და ქების ფურცელი, მიღებული სხვა და სხვა გამოფენის დროს. „ვაშენეს" საპონს აქვს ინგლისის პატენტი. კოპიოები იმისი დაცულია რუსეთის საიმპერატორო კონსულის მიერ ლონდონში.

„ვაშენეს" საპონი ნებადართულია სახმარებლათ ს.-პეტერბურგის უმთავრესი საექიმო გამგეობისაგან. ჩვენ პასუხს ვაგებთ უკეთუ „ვაშენეს" საპონმა არ შეასრულა ზემოთ აღნიშნული თვისი დანიშნულება. „ვაშენეს" საპონი იყიდება ყველა აფთიაქებში აფთიაქის სკლადებში და ყველა საუკეთესო ბაკალიონის მაღაზიაში. და ერთი ნაჭერი ღირს 35 კაპ. ნახევარი კი 20 კაპ.

უმთავრესი საწყობი მთელი ქ. ქუთაისისათვის იმყოფება ქ. ქუთაისის წარმომადგენელ პროვიზორ ლ. პ. კოკოჩევთან.

„ვაშენეს" საპონის ფირმის უმთავრესი წარმომადგენელი მთელის ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქისათვის არიან ძმ. ბურჭულაძეები.

უკანასკნელთ მიმართეთ ამ ადრესით: ქ. ქუთაისში, გოსპიტლის ქუჩა, № 2. ძმ. ბურჭულაძე.

**ПРОДОЛЖАЕТСА ПОДПИСКА НА 1911 Г.**
на политическую, общественную и литературную ежедневную газету

# ЗАКАВКАЗЬЕ

(ГОДЪ VI)

Тифлисъ, дворцовая, д. Груз. Дворянства

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

Для иногороднихъ подписчиковъ на год 8 руб. на пол-года—4 р. 50, на 3 м.,—2 р. 25 к. на 1 м.—1р.

Плата за объявленія: впереди теката 15 к., за строку петита, позади текста 10 к., посреди текста 50 кол.,

Редакторъ И. И. РАДИКЕ.
Издатель Д. П. МАДЧАВАРІАНИ.

# ბამბუკის სახელოსნო

კ. ო. ცირიკიძისა

თფილისის ქუჩა, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ. მიიღება შეკვეთა ყოველნაირ ბამბუკის ავეჯისა ძლიერ ხელ-მისაწდომ ფასებში. 3—2

აი წლის 15 ივლისიდან გამოდის ბათუმში ყოველ-დღიური ქართული საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

# „ბათუმის გაზეთი“

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მ, 50 სამი თვით 1 მ. 50 კ. ერთი თვით 60 კ.

რედაქციის ადრესი: ბათუმი, ერისთავის ქ., ს. ვაგანციანცისა, № 10.

რედაქტორ-გამომცემელი **ს. ე. ხომერიკი.**

ამა წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი

# „კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელმოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველი ივნისიდან წლის დამლევამდი—4 მან., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვიური—ოთხი აბაზი.

საზღვარ გარეთ: წლიურათ—12 მან. 1 ივნისიდან წლის დამლევამდი—7 მან., თვიურათ—ექვსი აბაზი.

→ თითო ნომერი ერთი შაური. ←

ადრესის გამოცვლა: ქუთაისის ქუთაისშე—ორი შაური, დანარჩენ შემთხვევაში—ორი აბაზი.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

**ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ**
ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА на 1911 г.
НА ЖУРНАЛЪ

# НАШЕ ДѢЛО.

**ВЫХОДИТЪ ДВА РАЗА ВЪ МѢСЯЦЪ.**

Статьи принимаются на русскомъ и украинскомъ яз.

Журналъ посвящаетъ себя вопросамъ сельской и рабочей коопераціи преимущественно Кіевской губерніи и всего Южно—Западнаго края, а также губерній: Черниговской, Полтавской, Екатеринославской, Херсонской и Бесарабской.

Журналъ издается при ближайшемъ содѣйствіи Бюро Кіевскаго Союза Потребительныхъ Обществъ и этим самымъ непосредственно обслуживаетъ интересы всѣхъ потребительныхъ обществъ Кіевской и сосѣднихъ губерній, тяготѣющихъ къ Союзу.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

На годъ—**4 руб.**, на 6 мѣсяцевъ—**2 руб. 25 к.**, На 3 мѣс.—**1 руб. 25 к.**,

Членамъ потребительныхъ обществъ, всѣмъ кооперативнымъ предпріятіямъ, кредитнымъ и ссудо-сберегат. т-вамъ, сельско-хохяйств. о-вамъ и т. п., профессіональнымъ группамъ, сельскимъ учителямъ, крестьянамъ и рабочимъ на годъ—3 руб., на 6 мѣсяцевъ—1 руб. 65 коп., на 3мѣсяца 85 коп.

АДРЕСЪ РЕДАКЦІИ: Кіевъ, Подолъ, Воздвиженская, 1. Помѣщеніе Бюро Кіевскаго Союза Потребительныхъ О-въ. Редакція журнала „Наше Дѣло“.

Редакторъ-Издатель **А. И. ГДѢШИНСКІЙ.**
**(Предсѣд. Бюро Кіевскаго Союза Потребительныхъ о-въ)**

# „სახალხო გაზეთი“

**ხელის მომწერთა საყურადღებოთ.**

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველი თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არ აქვს წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ თფილისში და მის გარეთ აღნიშნულია 1-ლ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—2-რე სტრიქ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წლ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. |
| 8.50. | 8.— | 7.50. | 6.90. | 6.20. | 5.50. | 4.80. |
| 12 მ. | 11— | 10— | 9.— | 8.— | 7.— | 6.— |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
| 4.— | 2.40. | 1.60. | —80 |
| 5.— | 3.50. | 2.50. | 1.25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირას) 7 კაპ.

5 74
1911

**КНИГИ** изд. С. А. Козловскаго для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариѳ., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур.; 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго; 5) Арбузова и К°; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоповскаго; 11) Минина; 12) Вулиха; Давидова, и др. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высылаю безплатно. Выписывать исключ. по адресу: Бѣлая-Церковь, Кіев. губ., С. А. Козловскому.

5—5

---

კოლონიალურ და ბაკალიურ საქონლების ნარდათ სავაჭრო

**ბასილაძისა და კილასონიასი**

ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩა

მომხმარებელ საზოგადოებებს განსაკუთრებული შეღავათი!!!

პირობები შემდეგ

---

**„საქმეს ოსტატის ეშინია“!!!**

ა. სარგიჯიანცისა, ი. ბაბუნაშვილისა და ს. გორგოძეს მიერ ახლად გახსნილ მაღაზია

**„ნდობა“-ში**

ალექსანდროვის ქ., ბოკერიასი სახლი-

იყიდება ყოველგვარი ფეხსაცმელები, კალოშები, „ნასკები“ და წუღები. მიღებულია დიდძალი საუკეთესო ხარისხის „შევროები“, როგორც შავი, ისე ფერადი. მიიღება ყოველგვარი ფეხსაცმელების „ზაკაზები“ „ზაკაზები“ სრულდება დახელოვნებულ ოსტატის, ა. სარგიჯიანცის ხელმძღვანელობის ქვეშ !!!

---



საათების და ოქრო-ვერცხლის საქონლების

**მაღაზია**

საქონელი იყიდება ფაბრიკის ფასებში.

თითბრის და კაუჩუკის ბეჭდებისა და მონოგრამების ფაბრიკაცია

**გ. მ. განელინისა**

გიმნაზიის ქუჩა, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

---

**აქიმი ჯაფარიძე** ღებულობს შინაგანბავშვების და აგრეთ, ვე ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფთ.

თფილისის ქუჩა, სახ. თავ. ნიჟარაძისა

---

ავტომობილების მიმოსვლა

**დრო ფულია!!!**

მხოლოდ ერთი საათი ქუთაისსა და ხონს შუა!

ქუთაისიდან გადის: 1) დილის 6 საათზე, 2) საღამოს 4 საათზე. ხონიდან ბრუნდება: 1) დილის $7^1/_2$ ს., 2) საღამოს $5^1/_2$ საათზე.

სადგური და კანტორა სასტუმრო „გრანდ-ოტელში“.

**გილეთეგის იქვე.**

ბიკტორ გოცირიძე.

---

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

**გაზეთ „თემზე“**

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . | 2 მან. ათი შაური. |
| ნახევარი წლით . . . | 2 „ |
| სამი თვით . . . . | 1 „ |

რედაკტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე

რედაქციისა და კანტორის ადრესი: Двор., д. Д. Сараджева

---

ამა წლის 20 ივნისიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-კვირეული სახალხო ჟურნალი

**კოოპერაცია**

შემდეგი პროგრამით:

1) მოწინავე წერილები კოოპერატიულ და ეკონომიურ საკითხებზე; 2) წერილები მუნიციპალურ საქმეებზე; 3) კორესპონდენციები (კოოპ. ცხოვრება სურათებით); 4) კოოპერატიულ მოღვაწეთა ბიოგრაფია (სურათებით) და 5) მოკლე მიმოხილვა მიმდინარე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრებისა.

ჟურნ. ღირს წლიურათ 2 მ. და 50 კ., $^1/_2$ წლ. 1 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი 7 კაპ.

**განცხადების ფასი:**

პირველ გვერდზე სტრიქონი 30 კაპ. უკანასკნელზე 20 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

რედაქ. ადრესი: Кутаисъ. Редакція журн. „Кооперація" Тифл. ул., д. Лолуа, противъ Реальнаго училищ„

რედაქტორი .ი გ. გაბილაია.

გამომცემელი გრ. ს. ნარაკიძე.

Типографія, П. Перадзе и Н. Карнаухова. Кутаисъ.